შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

III ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. *გაასწორეთ* მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

ძველი ქართული მწიგნობრობის უმნიშვნელოვანესი კერა არსებობდა სინაზე, რომელიც არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. გადმოცემის თანახმათ III საუკუნის 50-ან წლებში დიოკლიტიანეს მიერ დევნილმა ქრისტიანებმა სინას შეაფარეს თავი. ამ პერიოდიდან დაიწყო აქ სხვადასხვა ეროვნებების ქრისტიანთა მოღვაწეობა. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ქართველთა ყოფნა აქ ჯერ კიდევ VI საუკუნეშია სავარაუდებელი მაგრამ მათი მოღვაწეობა განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა IX–XI საუკუნეებში, როდესაც არაბობით შეწუხებულმა ქართველებმა პალესტინის მონასტრებისაგან სინას მიაშურეს. სწორედ ამ დროს დაარსდა ქართველთა ძლიერი სათვისტომო.

ქართველებმა შეჰქმნეს მდიდარი წიგნსაცავი რომელმაც სასულიერო მწერლობის არაერთი ძეგლი შემოგვინახა. მწიგნობართა ბევრნაირ ლიტერატურულ ინტერესებზე მეტყველებს აქ დაცული ორიგინალური და თარგმნილი თხზულებები. სინაზე აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია როგორც სინაზე შექმნილი ისე პალესტინის ქართული სავანეებიდან შესული წიგნები. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწე მთარგმნელებმა, მწიგნობარ-კალიგრაფებმა წიგნთა შემკაზმავ-შემმოსველებმა თავიანთი ღვაწლი შეიტანეს ქრისტიანული კულტურის განვითარებაში. ქართული ხელნაწერები შეიცავს უნიკალურ მასალას, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული არამედ მთლიანად აღმოსავლეთის ქრისტიანული კულტურის შესასწავლად.

მემატიანეთა ცნობით, სინაზე მოღვაწე ქართველ ბერებს საუკუნეების განმავლობაში მატერიალურად მეფე-დიდებულები და სასულიერო მოღვაწეები ეხმარებოდენ. XV საუკუნიდან ეკონომიკურად დაუძლურებულ სამშობლოდან შემოწირულებამ იკლო რისთვისაც ქართველთა მრავალ საუკუნოვანმა კოლონიამ არსებობა შეწყვიტა.

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

არსებობს საფრთხე, რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატების სახით შემოგვრჩეს.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

1.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი დავით გურამიშვილის წიგნიდან „დავითიანი“:

1. ორთა მათ ჩემთა უფალთა ერთად ვუხსენე გვარია,
თუმცა ძირთაგან შორს იყვნენ, შრტოდ ახლოს მონაგვარია:
ერთი დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჯვარია,
მეორე ვახტანგ მეხუთე, ქართველთა მეფედ მჯდარია...

2. იყო ის ერთი უფალი გლახაკთ ნუგეშის-მცემელი,
მეფსალმუნე და მეტყველი, ღვთის ქებით ბობღნთა მცემელი,
შრტო ძირისაებრ თვისისა ნაყოფის გამომცემელი,
მწყემსი ცხოვართა დამხსნელი და მგელთა არ მიმცემელი.

3. მას მორჩილებდენ ქართველნი, ვით წესი იყო მონისა,
უმისოდ ჭირად მიაჩნდათ ცხოვრება სიამოვნისა;
მაგრამ კვლავ შესცდენ მის გზათა, რა ცოდვის ბურმან მონისა.
ჩაცვივდნენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა.

4. გულ-მანკიერად შეიქმნენ, ქმნეს სამსახურზედ კლებანი,
და-ცა-ივიწყეს მათ მისი ურიცხვი მოწყალებანი.
ზოგიერთს ვისმე შეუხდა ეშმაკის მანქანებანი,
დავით, მამისა მისისა, დამუსრეს ფსალმუნთ ებანი.

5. გაუორგულდა სპა-ჯარი, ერი მიმცემი ხარკისა,
ბაგით პატივ-სცეს, აჩვენეს გული მტყუვარი, ზაკვისა;
უარყვეს მცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშმაკისა,
რაც თესეს, ბოლოს მოიმკეს თავიანთ ნამუშაკისა.

6. ასწავლიდიან რჩეულნი თავიანთ ქვეყნის მეფისა,
წაუკითხიან ბრძანება, გამოთარგმნილი კეფისა:
„იქმენით ხარკის მიმცემნი, აღმსრულებელნი სეფისა“.
მოვიდა დიდი ძვირობა, დრო წახდა სიიეფისა.

7. ღვთისმშობელმა ჰრქვა: იწამეთ, ვინ ცით გვიწვიმა მანანა,
ქვეყნად უმამოდ ქალწულსა ძე მარწებინა, მანანა,

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

პაპად, ბებიად ითნია იოკიმე და მან ანა,
შესანდობელად ყოველთა მით ცოდვა თქვენი მანანა.

8. არ დაიჯერეს, არა ქნეს სარწმუნო დასაჯერები;
დაყრუვდენ, ბრმანი შეიქმნენ, საქმე ქნეს გასასტერები!
თუმც იყვნენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი ქნეს ვერები,
დამცირდენ მადლით მოყვრები, ცოდვით გამრავლდენ
მტერები.

9. დაჯაბდნენ გულად მამაცნი, მძლეთა მებრძოლთა
მძლეველნი,
ნებით შეიქნენ უბრძოლლად თავისა მტერთა მძლეველნი;
ციხე განუღეს, შეუშვეს დამქცევი, დამამძლეველნი,
მტერნი სამკვიდროთ მომშლელნი, ტრფიალთა
წამართმეველნი.

10. განუცვდათ შმაგთა ხელობა, ტრფიალთა მიჯნურობაო,
ვერ სძლივეს მძლეთა მებრძოლთა, ვერა ქნეს გულმაგრობაო,
შეშინდნენ, ტრფიალთ გაექცნენ, შეჰკადრეს უარობაო,
წუთს მოყვარესა დამოყვრდნენ, მკვიდრსა დაუწყეს მტრობაო.

11. ვერ გაუმაგრდნენ, ოდესაც მტერთა დაუწყეს ბრძოლანი,
ნება ყვეს თვისთა მერჩოლთა, არვინ ინება რჩოლანი!
გვირგვინის ცოლი გაუშვეს, ხაჭასთან შექნეს რბოლანი,
ყმად წაუვიდნენ ისასა, იქმნენ მამადის ქოლანი!

12. შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა, მწირისა.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

3. რომელ ორ უფალს ახსენებს ავტორი?

ა) დავით აღმაშენებელსა და ღვთისმშობელს.

ბ) მაცხოვარსა და თამარ მეფეს.

გ) მაცხოვარსა და მეფე ვახტანგს.

დ) ღვთისმშობელსა და ვახტანგ მეხუთეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

4. რას გულისხმობს ავტორი ფრაზაში: „თუმცა ძირთაგან შორს იყვნენ, შრტოდ ახლოს მონაგვარია“?

ა) იესო ქრისტესა და ქართველ მეფეებს საერთო წარმომავლობა აქვთ.

ბ) მაცხოვარსა და ქართველ მეფეებს საერთო წარმომავლობა არა აქვთ.

გ) ქართველი მეფეები ქრისტიანობას თავგანწირვით იცავენ, რითაც ღვთის ნებას აღასრულებენ.

დ) ქართველი მეფეები ღმერთს ემსგავსებიან, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას განაგებენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

5. **რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში:** „მწყემსი ცხოვართა დამხსნელი და მგელთა არ მიმცემელი“?

ა) ალიტერაცია.

ბ) იუმორი.

გ) მეტაფორა.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

6. რატომ გაუორგულდნენ ქართველები უფალს?

ა) გაჭირვებით ცხოვრებას მათ ფუფუნება არჩიეს.

ბ) მადლის ქმნას მეფის ინტერესები ანაცვალეს.

გ) მხოლოდ სიკეთით ფონს ვერ გავიდოდნენ.

დ) „ცოდვის ნისლმა“ მათ გონება დაუბნელა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

7. რომელ ფრაზაში ჩანს აზრი, რომ ღვთისაგან განდგომილებმა სარწმუნოებრივი სიწმინდეები შებღალეს?

ა) „გულ-მანკიერად შეიქმნენ“.

ბ) „დამუსრეს ფსალმუნთ ებანი“.

გ) „და-ცა-ივიწყეს მათ მისი ურიცხვი მოწყალებანი“.

დ) „ქმნეს სამსახურზედ კლებანი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

8. რას ნიშნავს ფრაზა: „ბაგით პატივ-სცეს, აჩვენეს გული მტყუვარი, ზაკვისა“?

ა) ერთმანეთს ერთგულებას ეფიცებოდნენ, მტერს კი ატყუებდნენ.

ბ) სიტყვიერად ერთგულებდნენ, გულში კი ბოროტება ედოთ.

გ) სიტყვით რასაც ამბობდნენ, საქმითაც იმას აკეთებდნენ.

დ) უფლისგან განდგომილნი საღვთო რიტუალებს მაინც აღასრულებდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

9. როგორ ახასიათებს ავტორი ქართველებს მეხუთე სტროფის მიხედვით?

ა) როგორც ამაყებს, მხიარულებსა და ლაღებს.

ბ) როგორც გულბოროტებს, მკვლელებსა და ქურდებს.

გ) როგორც თავგანწირულებს, ვაჟკაცებსა და პატრიოტებს.

დ) როგორც ორგულებს, მატყუარებსა და ცოდვილებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

10. რომელ სტრიქონში ჩანს, საბოლოოდ რა შედეგი მოჰყვა ქართველთა უღირს საქციელს?

ა) „ზოგიერთს ვისმე შეუხდა ეშმაკის მანქანებანი“.

ბ) „მაგრამ კვლავ შესცდენ მის გზათა, რა ცოდვის ბურმან მონისა“.

გ) „რაც თესეს, ბოლოს მოიმკეს თავიანთ ნამუშაკისა“.

დ) „შრტო ძირისაებრ თვისისა ნაყოფის გამომცემელი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

11. რას მოუწოდებდნენ ქართველებს „რჩეულნი თავიანთ ქვეყნის მეფისა“**?**

ა) მეფის ნება-სურვილი აღესრულებინათ.

ბ) ოჯახების ერთგულნი ყოფილიყვნენ.

გ) საკუთარი სამშობლო დაეცვათ.

დ) სიკეთე სიკეთით გადაეხადათ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

12. რა იგულისხმება ფრაზაში: „მოვიდა დიდი ძვირობა, დრო წახდა სიიეფისა“?

ა) ბედნიერება უბედურებამ შეცვალა.

ბ) მეგობრობამ ფასი დაკარგა.

გ) ქვეყანაში საკვები გაძვირდა.

დ) ყველას რაღაც ახარებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

13. რისკენ მოუწოდა ღვთისმშობელმა გზაარეულ ქართველებს?

ა) ერთმანეთის იმედი ჰქონოდათ.

ბ) მეფის მორჩილნი ყოფილიყვნენ.

გ) სამშობლოს უძლეველობა ერწმუნათ.

დ) უფლის რწმენას დაბრუნებოდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

14. რით უპასუხეს ქართველებმა ღვთისმშობლის შეგონებას?

ა) აღშფოთებითა და პროტესტით.

ბ) გულისხმიერებითა და თანაგრძნობით.

გ) მოწიწებითა და მორჩილებით.

დ) შეუსმენლობითა და დაუნახაობით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

15. რომელი ფრაზა ჩაითვლება „ვეფხისტყაოსნის“ ალუზიად?

ა) „დამცირდენ მადლით მოყვრები, ცოდვით გამრავლდენ მტერები“.

ბ) „დაჯაბდნენ გულად მამაცნი, მძლეთა მებრძოლთა მძლეველნი“.

გ) „თუმც იყვნენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი ქნეს ვერები“.

დ) „ციხე განუღეს, შეუშვეს დამქცევი, დამამძლეველნი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

16. რა მოჰყვა შედეგად იმას, რომ „დაჯაბდნენ გულად მამაცნი“?

ა) მიწა-წყალი ოქროში გაცვალეს.

ბ) მტერს ყველაფერი უბრძოლველად დაუთმეს.

გ) საკუთარი მეფე ტყვედ აიყვანეს.

დ) ცოლ-შვილი გასაყიდად გაიმეტეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

17. რა არის ავტორის მთავარი სათქმელი?

ა) ადამიანთა ზნეობრივ დაცემას ქვეყნის განადგურება მოჰყვა.

ბ) მეფის ნების დაუმორჩილებლობამ მატერიალური გაჭირვება გამოიწვია.

გ) ქვეყანა სხვადასხვა რჯულის მიმდევართა შემოსევებმა გაანადგურა.

დ) ხელმწიფის ემიგრაციაში წასვლამ საქართველოში არეულობა გამოიწვია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ ახასიათებს ავტორი თავის თანამედროვე ქართველებს (ყურადღება მიაქციეთ, რომელ ეპოქასა თუ პერსონაჟებთან დაპირისპირებაა გამოყენებული სათქმელის უკეთ გამოსახატავად);
- იმსჯელეთ, რა ღირებულებების შესახებ საუბრობს ავტორი;
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

2.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი გურამ გეგეშიძის რომანიდან „ნაცრის კოშკი“:

ტყვეთა ბანაკში ხშირად მოდიოდნენ გერმანელთა სამსახურში მყოფი ქართველები და მოუწოდებდნენ ტყვეებს გერმანელთა მიერ შედგენილ სამხედრო შენაერთებში გაწევრიანებას კომუნისტების მიერ დაპყრობილი სამშობლოს გასათავისუფლებლად. ბიძინამ იცოდა, რომ ასეთი ბატალიონები არსებობდა. ერთხელ თვითონ მოუხდა შეტაკება გერმანელთა მხარეს გადასულ ქართველებთან. მხოლოდ ბრძოლის შემდეგ შეიტყო, ვის ებრძოდა, როცა მტერი უკუაქციეს და სოფელში შეიჭრნენ. შუკები და თემშარა დახოცილი ჯარისკაცებით იყო მოფენილი, მკლავზე გერმანული წარწერა მიემაგრებინათ „გეორგიენ“, სამხრეებიც გერმანელთაგან განსხვავებული ეკეთათ. ასეული სოფლის მოედანზე, საბჭოს შენობასთან შეიკრიბა. ვიღაცამ შეიგინა, ქართველები გვებრძოდნენო. იმიტომაც იბრძოლეს ასე შეუპოვრად, მაგათი დედაცო, ილანძღებოდნენ აღგზნებული ჯარისკაცები. მტრის მხარეზე გადასულნი, ქართველები იქნებოდნენ თუ რუსები, განსაკუთრებული თავგანწირვით გამოირჩეოდნენ, რადგან სხვა გამოსავალი არა ჰქონდათ, – თუ არ გაიმარჯვებდნენ, უეჭველი სიკვდილი ელოდათ. თანამებრძოლთა მზერას რომ აწყდებოდა, ბიძინას ეჩვენებოდა, რომ იმათ თვალებში უნდობლობას და საყვედურს ხედავდა, ზოგჯერ სიძულვილსაც, თითქოს ბრალი მიუძღოდა რამეში. სწორედ ამ დროს ჩამოატარეს გერმანულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ოციოდე წლის ქართველი ბიჭი. იგი შეშინებული, თავდახრილი მობანცალებდა. უცებ ბიძინამ გაიაზრა, რომ მთელი დღე თავისიანებს ებრძოდა, მაგრამ იყვნენ კი ისინი მისიანები ამ მომენტში? ცხადია, არა! ტყვიას თუ გიშენენ, საკუთარი ძმა რომ გეგულებოდეს მოწინააღმდეგე მხარეს, იმას არ დაინდობ. ასეთია ომის კანონი. ის მტრული ძალა, მოსპობას რომ გიპირებს, ცეცხლში გბუგავს, განადგურებით გემუქრება, იწვევს სულში საპასუხო რისხვას და სიძულვილს და იმ წყაროს მოსპობის ჟინით განთებს, საიდანაც მოდის სიკვდილი.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

მხოლოდ დამარცხებული, დამორჩილებული, ნირწამხდარი და დაბეჩავებული მოწინააღმდეგე, საშიშროებას რომ აღარ წარმოადგენს, შეიძლება, შეგებრალოს კიდევაც. ბიძინამ გულგრილი მზერა გააყოლა ხელმეორედ ტყვედ ჩავარდნილ ქართველ ჯარისკაცს, უკვე განწირულს, ბადრაგით გარშემორტყმულს. ასეთ ტყვეებს, როგორც სამშობლოს მოღალატეებს, ყოველგვარი გასამართლების გარეშე ადგილზე ხვრეტდნენ, იქვე, დაუყოვნებლივ. ბიძინამ იცოდა, რომ ამ ბიჭს სიკვდილი არ ასცდებოდა. ამ დროს ასმეთაურის ჩახლეჩილი ხმა შემოესმა: „გრუზინი კა მნე!“ [ქართველები ჩემთან!].

ნაწილში ორი ქართველი იყო, ბიძინა და საგარეჯოელი შაქრო მჭედლიშვილი. როგორც ახოვანი ტანის კაცი, ბიძინა მწყობრის თავში იდგა ხოლმე, დაბალი და ჯმუხი შაქრო – მწყობრის ბოლოში. რამდენადაც მიმზიდველი გარეგნობით გამოირჩეოდა ბიძინა, იმდენად უშნოდ გამოიყურებოდა შაქრო. გამოკვეთილი ყვრიმალებით, პაჭუა ცხვირით და ვიწრო თვალებით... ბიძინამ და შაქრომ მოედანი გადაჭრეს და ასმეთაურს გამოეჭიმნენ აქ შეგროვილი ჯარისკაცებისა და სამალავებიდან გამომძვრალი დედაკაცებისა და მოხუცების თვალწინ. ერთი – მხარბეჭიანი, თვალადი ვაჟკაცი, მეორე – დაბალი, ულაზათო, მხრებამდე ძლივს სწვდებოდა თავის თვისტომს. მეთაურის ზურგს უკან იდგა მესამე, მათივე თანამოძმე, მტრის ტანსაცმელში გამოწყობილი, მიჩაჩულ-მოჩაჩული, მოშვებული, სახეგამურული, თმააჩეჩილი, ორ სახეგაყინულ ავტომატიან ბადრაგს შორის ჩაყენებული, რომელთაგან დანდობას არ ელოდა, შეშინებული აცეცებდა თვალებს და უცებ ბიძინა მიხვდა, რისთვის იხმო ის და შაქრო რუსმა ოფიცერმა. მას უნდოდა ქართველი ქართველს დაეხვრიტა. ბოღმა ყელში მოებჯინა და დაუმორჩილებელი, პირქუში მზერა მიაპყრო მეთაურს. მან ბიძინას თვალი მოარიდა და დამცინავი ღიმილით შაქროს მიაჩერდა, გაჭიმული რომ იდგა მის წინ მზადმყოფი, ავტომატი წინ ეკიდა, მარჯვენა ხელით ტარი ეჭირა, მარცხენათი – სავაზნე კოლოფი.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ტყვე დაბარბაცდა, არეული ნაბიჯით გაუყვა გზას.

მეთაურმა სათანადო ბრძანებები გასცა და დაღლილი ჯარისკაცები აქეთ-იქით დაიფანტნენ. ბიძინა კუნძზე ჩამოჯდა. გაზეთის ნახევში გახვეული მახორკა გააბოლა. ის ხედავდა, როგორ მიჩანჩალებდნენ სოფლის გზაზე, ტრამალის ბოლოს ჩამავალი მზის მიმართულებით ავტომატმომარჯვებული შაქრო და სასიკვდილოდ განწირული ადამიანი.

– ბიჭო, უნდა მომკლა?

– მა რა ვქნა?

– ქართველი ვარ, ბიჭო, რა დაგიშავე, არ გენანები? მოდი, გავიქცევი და მესროლე, ოღონდ ამაცდინე.

– სად გაიქცევი, ბიჭო, ვის გეექცევი? შენი გულითვინ კიდევა მე დამხვრეტენ, ტყვე რად გაუშვიო, არ იცი ამათი ამბავი?

– დედაჩემს ჩემს მეტი არავინა ჰყავს, რა პირით უნდა შეხვდე, რა თვალებით უნდა შეხედო?

– მე იმას სადა ვნახამ, კაცო? იქნებ ხვალ მეცა მკლავენ?!

– მერე ჩემი ცოდო უნდა დაიდო?

– მე რა გიყო, ბიჭო, მე რა შუაში ვარ? – წამით შეყოვნებულ ტყვეს ავტომატის ლულა მიაბჯინა შაქრომ ზურგში და კვლავ წინ გაიგდო.

– ვინ გააგებინებს საწყალ დედაჩემს ჩემს ამბავს? ტყუილად უნდა მელოდოს ეგ საცოდავი. შენ მაინც უთხარი, დაიღუპა-თქო. თბილისელი ვარ, დიდუბეში ვცხოვრობ, ეკლესიის გვერდით, შერვაშიძე ვარ გვარად, დედაჩემი ჩოლოყაშვილის ქალია, ანეტა... – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა იგი, მთვარეულივით მიბარბაცებდა და უნუგეშო მზერა აქეთ-იქით გაურბოდა.

გადამწვარ ქოხებს შორის მიმავალი შარაგზა გახრიოკებულ ხევში ჩადიოდა, ისევ ამოდიოდა და ტრამალთა ლაჟვარდში ლარივით გაჭიმული შორეული ტყის მუქი ზოლისკენ მიემართებოდა...

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

3. **რით ამართლებდნენ** „გერმანელთა სამსახურში მყოფი ქართველები“ **თავიანთ პოზიციას?**

ა) გერმანიის პატივისცემით.

ბ) საკაცობრიო იდეალებით.

გ) სამშობლოს სიყვარულით.

დ) ჰუმანისტური პრინციპებით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

4. **რა რეაქცია ჰქონდათ საბჭოთა მეომრებს, როცა გაიგეს, მოწინააღმდეგეთა მხრიდან** „ქართველები გვებრძოდნენო“?

ა) განრისხდნენ.

ბ) დაითრგუნენ.

გ) დანაღვლიანდნენ.

დ) შეშფოთდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

5. რატომ მოეჩვენა ბიძინას, რომ „თანამებრძოლთა... თვალებში უნდობლობას და საყვედურს ხედავდა“?

ა) ბიძინა თავგანწირვით არ იბრძოდა და ამიტომ მისი ერთგულება ეჭვს იწვევდა.

ბ) ბიძინა მოწინააღმდეგე ქართველების მიმართ სიბრალულს გამოხატავდა და ეს არ მოსწონდათ.

გ) თანამებრძოლთა აზრით, ქართველები თანამემამულეების ღალატზე პასუხს აგებდნენ.

დ) თანამებრძოლები ქართველები იყვნენ, თუმცა ბიძინა მათგან განსხვავებულ პოზიციას გამოხატავდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

6. **რატომ იყო შეშინებული და თავდახრილი** „გერმანულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ოცდაოდე წლის ქართველი ბიჭი“?

ა) ციხეში გაგზავნის ეშინოდა.

ბ) გერმანიაში დაბრუნების ეშინოდა.

გ) საკუთარი თანამემამულეების რცხვენოდა.

დ) გარდაუვალი სიკვდილი ელოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

7. **რატომ გააყოლა ბიძინამ ტყვედ ჩავარდნილ ქართველს „გულგრილი მზერა“?**

ა) მეომარი იყო და მორიგი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

ბ) ტყვე მტრად მიაჩნდა და მისი სიცოცხლე არაფრად უღირდა.

გ) საკუთარი გასაჭირი ედგა და ტყვე სულაც არ აინტერესებდა.

დ) სურდა, თავისი გულგრილობით მეთაურის ნდობა მოეპოვებინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

8. რა მიზნით უხმო ასმეთაურმა თავისთან ქართველ ჯარისკაცებს?

ა) მოსწონდა ქართველები და სურდა მათთვის თავის გამოჩენის საშუალება მიეცა.

ბ) ასმეთაურს სურდა, ტყვედ ჩავარდნილი ქართველი სწორედ ქართველს დაეხვრიტა.

გ) არჩევანი შემთხვევითი იყო, რადგან ქართველები ასმეთაურთან ყველაზე ახლოს იდგნენ.

დ) ქართველებს ადრეც შეუსრულებიათ ასეთი დავალება და ამიტომ ენდობოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

9. **რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში:** „ერთი – მხარბეჭიანი, თვალადი ვაჟკაცი, მეორე – დაბალი, ულაზათო, მხრებამდე ძლივს სწვდებოდა თავის თვისტომს“?

ა) გამეორება.

ბ) პერიფრაზი.

გ) ჰიპერბოლა.

დ) ეპითეტი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

10. ავტომატიანი ბადრაგების რა თვისებაზე მიუთითებს სიტყვა „სახეგაყინული“?

ა) ამპარტავნობაზე.

ბ) სიმამაცეზე.

გ) დაუნდობლობაზე.

დ) სიმხდალეზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

11. რატომ „მოებჯინა“ **ბიძინას** „ბოღმა ყელში“**, როცა მიხვდა, თუ** „რისთვის იხმო ის და შაქრო რუსმა ოფიცერმა“**?**

ა) ბიძინა გააბრაზა რუსი ოფიცრის განზრახვამ – ქართველი ქართველების ხელით დახვრეტილიყო.

ბ) ბიძინა შეურაცხყოფილი იყო, ბრძანება შაქროსთან ერთად რომ უნდა შეესრულებინა.

გ) ბიძინას ებრალებოდა ქართველი ტყვე და ბრაზობდა, რომ მისი გადარჩენა არ შეეძლო.

დ) რუსი ოფიცრის განზრახვა შეურაცხყოფას აყენებდა დანარჩენი ჯარისკაცების მეომრულ ღირსებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

12. ასმეთაურის რა თვისება ჩანს მის განზრახვაში?

ა) ცინიზმი.

ბ) სიამაყე.

გ) შემწყნარებლობა.

დ) პატივმოყვარეობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

13. რა არგუმენტს იყენებს ტყვე, როცა შაქროს სთხოვს, ტყვია ამაცდინეო?

ა) თანამებრძოლები ვართო.

ბ) საერთო ინტერესები გვაქვსო.

გ) საერთო მტერს ვებრძვითო.

დ) თანამემამულეები ვართო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

14. რატომ მიაჩნია შაქროს, რომ გამოუვალ მდგომარეობაშია?

ა) დარწმუნებულია, ქართველი ტყვის დედასთან შეხვედრა მოუწევს.

ბ) თუ ტყვეს გაუშვებს, ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნიან.

გ) ტყვე ებრალება, თუმცა მაინც უნდა დახვრიტოს.

დ) თუ ტყვეს არ დახვრეტს, თვითონ მას დახვრეტენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

15. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „ის ხედავდა, როგორ მიჩანჩალებდნენ სოფლის გზაზე“.

ბ) „რა პირით უნდა შეხვდე, რა თვალებით უნდა შეხედო?“

გ) „მოდი, გავიქცევი და მესროლე, ოღონდ ამაცდინე“.

დ) „მარჯვენა ხელით ტარი ეჭირა, მარცხენათი – სავაზნე კოლოფი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

16. ტყვე ქართველის რა სულიერი მდგომარეობა ჩანს ფრაზაში: „ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა იგი, მთვარეულივით მიბარბაცებდა“?

ა) აღშფოთება.

ბ) სასოწარკვეთა.

გ) განცვიფრება.

დ) სევდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

17. რა განაპირობებს ტექსტში მოთხრობილი ამბის ტრაგიზმს?

ა) ომში სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილი ქართველები იძულებულნი არიან, ერთმანეთი დახოცონ.

ბ) მიუხედავად მონაწილეთა ეროვნული წარმომავლობისა, ომი შუღლსა და სიძულვილს თესავს.

გ) ომში მთავარია გამარჯვება და არა ის, ვის მხარეზე იბრძვი.

დ) მიუხედავად იმისა, იმარჯვებ თუ მარცხდები, ომში დანდობა აუცილებელია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ბიძინას მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ, რა ქმნის ამ ტექსტში დრამატულ სიტუაციას (ყურადღება მიაქციეთ ისტორიულ კონტექსტს);
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებით არის რეალიზებული ტექსტის მთავარი სათქმელი.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე